გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2019-2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა და პარტნიორები მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება ჩამონათალის მიხედვით)

COVID-19 პანდემიით შექმნილ გამოწვევებზე მუნიციპალიტეტების რეაგირება

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი - დათო გოგუა

599856577, datogogua77@gmail.com

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

COVID 19 პანდემიამ გამორჩეულად რთული გამოწვევები შეუქმნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებს - სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა ხანდაზმულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. გარდა იმისა, რომ პანდემიის პერიოდში მობილობის პერიოდული შეზღუდვა ართულებდა მოქალაქეთა, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა გადაადგილებას და ხელმისაწვდომობას საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების მიმართ, მოწყვლადი ჯგუფების ყოფნა ხალხმრავალ სავაჭრო ობიექტებზე წარმოადგენდა მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის შემცველ ფაქტორს. გარდა ამისა, მოწყვლად ჯგუფში შემავალი მოქალაქეების გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა დროებითი თუ მუდმივი შემოსავლის წყარო, რამაც კიდევ უფრო გაართულა მათი სოციალური მდგომარეობა. მოსწავლეთა ნაწილს გაუჭირდა ონლაინ სწავლების გამოწვევებთან გამკლავება კომპიუტერულ ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო. ფიზიკური, ფინანსური და ეპიდემიოლოგიური ბარიერების გადასაჭრელად, ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან აცილების მიზნით

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიამ მოახდინა ხელმისაწვდომი რესურსების მობილიზება, რის შედეგადაც მოხდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მკვიდრი, მოწყვლად ჯგუფებში შემავალი მოქალაქეების მომარაგება სურსათით, მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობია 619.7 კვადრატული კილომეტრი. განლაგებულია ზღვის დონიდან 200-მეტრიდან 3000 მეტრ სიმაღლემდე. მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 ქალაქსა და 12 სოფელს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ჩხოროწყუ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 33,931 ადამიანს.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩხოროწყუს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არსებული გუნდურობა, კოორდინირებული მოქმედების მაღალი ხარისხი და კრიზისების მართვის უნარები. სწრაფმა, კოორდინირებულმა და მობილიზებულმა მოქმედებამ გახადა შესაძლებელი მოკლე დროში რესურსების მობილიზება, ლოჯისტიკური საკითხების გადაჭრა და შედეგად, მოწყვლადი ჯგუფებისათვის რთული გამოწვევების შემსუბუქება.

მნიშვნელოვან გარე ფაქტორს წარმოადგენდა პარტნიორ ორგანიზაციებთან მყარი და ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობების არსებობა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიგვეღო მათგან რესურსების მოძიების საკითხში.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

ინტერვენციის საპროექტო ციკლი დაიწყო რესურსების მობილიზებით, რაც გულისხმობდა კომუნიკაციას პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინტერვენციაში ფინანსური თუ მატერიალური კონტრიბუციით შემოსვლის მსურველ აქტორებთან კომუნიკაციისათვის მზაობის გამოთქმას. გარდა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, მოწყვლადი ჯგუფების დახმარების პროექტში ჩართულობისათვის მოგვმართეს კერძო კომპანიებმა, საჯარო დაწესებულებებმა და კერძო შემომწირველებმა.

ინტერვენციის ამავე ეტაპზე მოხდა მოწყვლადი ჯგუფების და მათი პირველადი საჭიროებების იდენტიფიცირება.
თანხების მობილიზების კვალდაკვალ, სიტუაციიდან გამომდინარე გამოკვეთილი პრიორიტეტულობით დაიგეგმა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სურსათისა და ჰიგიენის საშუალებების მიწოდება და ხელმისაწვდომ თანხებზე დაყრდნობით შემუშავდა რამოდენიმე განსხვავებული პაკეტი.
ინტერვენციის თითოეულ ეტაპზე აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხდებოდა კონკრეტული ეტაპის განხორციელებაში ფინანსურად თუ მატერიალურად ჩართული პარტნიორების მონაწილეობით.
ინტერვენციის ფარგლებში ყველა საორგანიზაციო და ლოჯისტიკური საკითხი გადაიჭრა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციის მიერ.
მთელი ინტერვენციის განმავლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი ვირუსისგან თავდაცვის საშუალებებით მარაგდებოდა საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციის მიერ.
პროექტში ჩართული იყვნენ შემდეგი აქტორები:

- საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაცია
- მშვიდობისა და განვითარების აკადემია
- საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
- საქართველოს ვეტერანთა კავშირი
- საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
- შპს „ისლეტ-ეგრისი“
- შვიდი კერძო შემომწირველი
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სკოლები
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები

ინტერვენციის ფარგლებში დახმარება გაეწია შემდეგ მოწყვლად ჯგუფებს:

- უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები
- კომპაქტურად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახები
- მარტოხელა ხანდაზმულები
- მრავალშვილიანი ოჯახები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ინტერვენციის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის დახმარება:

- მოქალაქეთა უზრუნველყოფა საკვები პროდუქტებით
- მოქალაქეთა უზრუნველყოფა ჰიგიენის საშუალებებით
- მოქალაქეთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით
- მოსწავლეთა უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით
- მოქალაქეთა უზრუნველყოფა ტანსაცმლით

- მოქალაქეთა უზრუნველყოფა თხევადი გაზით

ინტერვენციის ფარგლებში ფინანსური რესურსების სახით მობილიზებული იქნა 105 150 ლარი, არაფინანსური რესურსების სახით მობილიზებული იქნა 754 ყუთი ჰუმანიტარული დახმარება, 10 პლანშეტი, 10 ლეპტოპი, 22 000 ლარის ღირებულების ტანსაცმელი, 70 პაკეტი მედიკამენტები და 300 კგ თხევადი გაზის ვაუჩერი.
ჯამში ინტერვენციის ფარგლებში დახმარება გაეწია **3765** ოჯახს.

ინტერვენციის ფარგლებში პერიოდულად იკვეთებოდა წვრილმანი, ლოჯისტიკური და საორგანიზაციო ხასიათის გამოწვევები, რომლებიც ადვილად იქნა დაძლეული კოორდინირებული მუშაობისა და აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე.

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ინტერვენციის შედეგად ჰუმანიტარული დახმარება გაეწია **3765** ოჯახს

ჰუმანიტარული ინტერვენციის შედეგად:

- მოხდა მოწყვლად ჯგუფებში შიმშილის საშიშროების თავიდან აცილება;
- ხალხმრავალ, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით სარისკო ადგილებში მოწყვლადი ჯგუფების მოხვედრის აუცილებლობის მოხსნით მოხდა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების შემცირება;
- ჰიგიენის საშუალებებით მოწყვლადი ჯგუფების მომარაგებით მოხდა ვირუსის გავრცელების საპრევენციო ზომების ხელშეწყობა;
- მოხდა ონლაინ სწავლებაზე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის გაზრდა

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინტერვენციის მაგალითზე შეგვიძლია გამოვყოთ წარმატების განმსაზღვრელი შემდეგი ფაქტორები:

- მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომა
- კოორდინირების მაღალი ხარისხი
- გუნდური მუშაობა
- გუნდში ურთიერთნდობის მაღალი ხარისხი
- შრომის სამართლიანი, კეთილსინდისიერი განაწილება

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტორებისა და თანამშრომლების ჩართულობა
- პარტნიორებთან გამჭვირვალე, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა
- ფინანსური და მატერიალური რესურსების განკარგვის გამჭვირვალობა
- საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული აქტივობები

პროექტის მდგრადობის საწინდარს წარმოადგენს უკვე განხორციელებული ღონისძიებების განმავლობაში გამოვლენილი კეთილსინდისიერი, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომით, რესურსების მართვის გამჭვირვალობით, რესურსების სამართლიანი განაწილებითა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხით მოპოვებული რეპუტაცია. ინტერვენციით გათვალისწინებული ღონისძიებები გაგრძელდება როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიურ კრიზისულ პერიოდში.

10. საკრებულოს როლი:

საკრებულო აქტიურად იყო ჩართული ინტერვენციის ციკლის ყველა ეტაპში. ინიციატივა მხარდაჭერილი იყო საკრებულოს მიერ და განხორციელდა საკრებულოს აქტიური ჩართულობით.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში გრძელდება და მომავალშიც იგეგმება პარტნიორებთან თანამშროლობით ფინანსური თუ მატერიალური რესურსების მოძიება და მოწყვლადი ჯგუფების დახმარება.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

- დათო გოგუა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი
  ელ.ფოსტა: datogogua77@gmail.com
  ტელ: 599 85 65 77

- კახა შელია - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი
  ელ.ფოსტა:Kaxa-shelia@mailo.ru
  ტელ: 599856609

- ხათუნა მიქავა - საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციის ჩხოროწყუს ორგანიზაციის ხელმძღვანელი
  ელ.ფოსტა: miqava.xatuna@mail.ru
  ტელ:591 81 03 85

- მაკა სართანია - მშვიდობისა და განვითარების აკადემიის ხელმძღვანელი
  ელ.ფოსტა: maka.sartania@apd.ge
  ტელ:593 73 84 84

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

განაცხადს ახლავს ფოტომასალა

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 30 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge